ფონემატური ცნობიერების განსავითარებელი საკლასო მზაობის კურიკულუმის ეფექტურობის დადგენა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში

თეონა პარხომენკო

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2021

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა პარხომენკო

25/06/2021 ”.

აბსტრაქტი

კლევის მიზანია დაადგინოს ფონემატური ცნობიერების განსავითარებელი საკლასო მზაობის კურიკულუმის ეფექტურობის დადგენა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში. ფონემატური ცნობიერება გულისხმობს იმის გაცნობიერებას, რომ სამეტყველო სიტყვები და მარცვლები იქმნება სამეტყველო ბგერების, ფონემათა, თანმიმდევრობისგან და მათით მანიპულაციის უნარს. კვლევებმა აჩვენეს, რომ ფონემატური ცნობიერება არის წერა-კითხვის წარმატებული სწავლის ძლიერი პრედიქტორი.

ჩატარდა ექსპერიმენტული დიზაინის, რაოდენობრივი კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 27-მა ბავშვმა (N=27), რომელთა ასაკი იყო 5-6 წელი. პირველ ეტაპზე მშობელი ავსებდა ინფორმირებულ თანხმობას. შემდეგ ბავშვებს ჩაუტარდათ პრეტესტირება - შეფასდა მათი ფონოლოგიური ცნობიერების უნარები ინდივიდუალურად. ექსპერიმენტულ ჯგუფს თვე-ნახევრის მანძილზე დისტანციურად მცირე ჯგუფებში ჩაუტარდათ სესიები ფონემატური ცნობიერების განსავითარებელი საკლასო მზაობის კურიკულუმის პროგრამის მიხედვით. საბოლოოდ ჩატარდა პოსტტესტირება - ბავშვების ფონოლოგიური ცნობიერების უნარების განმეორებითი ინდივიდუალური შეფასება.

მონაცემების დამუშავების მიხედვით, თვენახევარი ჩარევის შედეგად 3 მახასიათებელი ექსპერიმენტულ ჯგუფში სანდოდ შეიცვალა. ესენია: მარცვლის დათვლის დავალება, სიტყვის სიგრძის შედარება და ფონემების დათვლის დავალება. კვლევას აქვს თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, რომლის გამოყენებაც ამ სფეროში მომუშავე პროფესიონალებს შეუძლიათ.

საკვანძო სიტყვები: ფონემატური ცნობიერება, საკლასო მზაობის კურიკულუმი.

Abstract

Purpose: The aim of the study is to determine the effectiveness of the classroom readiness curriculum for developing phonemic awareness in preschool children. Phonemic awareness refers to the understanding that spoken words and syllables are created from the sequences of speech sounds, phonemes, and the ability to manipulate them. Studies have shown that phonemic awareness is a strong predictor of successful literacy.

Method: A quantitative research of experimental design was conducted. 27 children (N = 27) aged 5-6 participated in the study. In the first stage, the parent filled out informed consent. The children underwent a pretesting - their phonological awareness skills were assessed individually. The experimental group was remotely given sessions in small groups for a month and a half according to the classroom readiness curriculum for developing phonemic awareness program. Finally, post-testing was performed - repeated individual assessment of children's phonological awareness skills.

Rusults: After processing the data, 3 characteristics were reliably changed after a month and a half of intervention in the experimental group. These include: syllable counting task, word length comparison, and phoneme counting task. The research has theoretical and practical value that can be used by professionals working in this field.

Key Words: Phonemic awareness, A classroom curriculum.